ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N234

ქ. ბათუმი 03 ნოემბერი, 2020 წელი.

ერთი მხრივ, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-საავტომობილო გზების დეპარტამენტი, შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი უფროსის - ზაზა შავაძის სახით, მეორე მხრივ, შპს „ბონდი-2009“ - შემდგომში „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი დირექტორის მამუკა დოლიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ჟ'' ქვეპუნქტის შესაბამისად დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ს/გზა "ახალშენის მეურნეობა-ესელიძეები" კმ0+000-კმ0+350 მონაკვეთზე გზის რეაბილიტაციის (NAT200015326 , 01/10/2020წ., CPV კოდი- 45200000, 45233220, 45233222) ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე შესყიდვა. - შემდგომში ,,სამუშაო''.

1.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით შეადგენს - 188 233.54 (ასოთხმოცდარვაათას ორასოცდაცამეტი ლარი, 54 თეთრი) ლარს.

მუხლი 2. ანგარიშსწორების წესი

2.1. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ლარში ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
2.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების შემდეგ, ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული სამუშაოს შესრულების აქტის-ფორმა #2, ანაზღაურების სერთიფიკატის-ფორმა #3, მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში. ზემოთაღნიშნული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზით წარმოდგენის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.
2.3 მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია წარმოადგინოს, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების (დამატებული ღირებულების გათვალისწინებით) ღირებულება.
2.4. შესრულებული სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით შემსყიდველის მიერ დაკავებული იქნება შესრულებული სამუშაოების ღირებულების 10%. აღნიშნული 10%-ის დაკავება მოხდება როგორც შუალედური, ისე საბოლოო სამუშაოების მოწოდების დროს, რომლის 7.5%-ის დაბრუნება მოხდება სამუშაოს სრული დასრულებისა და შემსყიდველის მიერ უშუალოდ საამისოდ შერჩეული პირის - სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ბიურო“-ს ტექნიკური ზედახედველისა (შემდგომში - „ტექნიკური ზედახმედველი“) და შემსყიდველის მიერ შექმნილი მიმღები კომისიის მიერ შედგენილი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ, ხოლო დარჩენილი 2.5%-ის გადასარიცხად მიმწოდებელი უფლებამოსილია წარმოადგინოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების ან საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვეო კომპანიის/დაწესებულების მიერ გაცემული დასაბრუნებელი თანხის ოდენობის უპირობო საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა 38 (ოცდათვრამეტი) თვის ვადით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების შესრულების ვადას.
2.5 ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული 10%-დან დარჩენილი 2.5%-ის დასაბრუნებლად საბანკო გარანტია მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას დადებითი ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.
2.6 იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკურ ზედამხედველის მიერ აქტის შედგენისას დაფიქსირებული იქნება

შესრულებული სამუშაოს ნაკლი ან უხარისხობა, მიმწოდებელს აღნიშნული თანხა არ აუნაზღაურდება არსებული დეფექტების გამოსწორებამდე.
2.7 იმ შემთხვევაში, თუ საგარანტიო პერიოდის განმავლობაში ობიექტზე გამოვლენილი დეფექტების გამოსწორებას მიმწოდებელი ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფს ან უარს აცხადებს მათ აღმოფხვრაზე, შემსყიდველი ტექნიკური ზედამხედველის მეშვეობით შეაფასებს ობიექტზე დეფექტების აღმოფხვრის ხარჯს და უზრუნველყოფს წარმოდგენილი საბანკო გარანტიიდან თანხის მოთხოვნას მის პროპორციულად. თუ დეფექტების აღმოფხვის ხარჯისათვის საჭირო თანხა აღემატება საბანკო გარანტიით განსაზღვრულ თანხას, შემსყიდველი დამატებით დააკისრებს მიმწოდებელს ზემოაღნიშნული განსხვავების გადახდას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2.8 მიმწოდებელმა ექსპერტიზის დასკვნა უნდა წარმოადგინოს სამუშაოს საბოლოო მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღისა.
2.9 მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს წარუდგინოს წინასწარი წერილობითი თხოვნა ავანსის გაცემასთან დაკავშირებით, სადაც დასაბუთებული უნდა იყოს ავანსის სახით მიღებული თანხის გამოყენების მიზნობრიობა, იგი ვალდებულია, ასევე წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტები (განახლებული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან) იმის დასადასტურებლად, რომ არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში, მის მიმართ არ არის რეგისტრირებული საგადასახადო გირავნობა ან/და ყადაღა. წინამდებარე პუნქტში აღნიშნული დოკუმენტაცია გაცემული უნდა იყოს ავანსის შესახებ დეპარტამენტის თანხმობის შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან ავანსის მოთხოვნის დაკმაყოფილების ან უარის თქმის შესახებ საკითხს განიხილავს დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 27 თებერვლის N6 ბრძანებით შექმნილი მუდმივმოქმედი კომისია.
2.10 შემსყიდველის მიერ ავანსის გაცემასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აკრედიტებული საბანკო დაწესებულების ან საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის/დაწესებულების მიერ გაცემული, გასაცემი ავანსის ოდენობის უპირობო საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა 60 (სამოცი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების შესრულების ვადას (სამუშაოების შესრულების ვადის გაზრდის შემთხვევაში, მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ვადით გაზრდილი ხელახალი საბანკო გარანტია).
2.11 მიმწოდებელზე გასაცემი საავანსო თანხა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 20 პროცენტის ოდენობით.
2.12 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს მიმწოდებლის მიერ წინასწარი ანგარიშსწორების საფუძველზე მიღებული თანხის ხარჯვის მიზნობრიობის შემოწმება (საავანსო თანხის ხარჯვის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენა).
2.13 შემსყიდველის მიერ გაცემული ავანსის დაკავება მოხდება სრულად, შესრულების წარმოდგენის დროს.
2.14 შემსყიდველი უფლებამოსილია, ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ დროს აამოქმედოს ავანსის უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია ხელშეკრულების პირობების დარღვევისა და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, თუკი შეწყვეტის მომენტისათვის მიმწოდებელს არა აქვს დაქვითული გაცემული ავანსი ან მისი ნაწილი.
2.15 ავანსის გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ უპირობო საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.
2.16 იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ არ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეული ფასების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს არ ექნება პრეტენზია სამუშაოთა აუთვისებელ მოცულობების შესრულებაზე და მის გადახდაზე.
2.17 ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული გაუთვალისწინებელი სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ სამუშაოებისათვის, რომელთა გათვალისწინება შეუძლებელი იყო წინასწარ, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის დროს. აღანიშნულის დადასტურება განხორციელდება შესაბამისი მოტივირებული დასკვნის საფუძველზე, შემსყიდველთან წინასწარი წერილობითი შეთანხმებით.
2.18 შემსყიდველი უფლებამოსილია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაუკავოს (გამოუქვითოს) მიმწოდებელს ასანაზღაურებელი თანხიდან და გადარიცხოს ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე.

მუხლი 3. სამუშაოს შესაბამისობა

3.1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა შესრულდეს ჯეროვნად საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური პირობების, მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების, გარემოზე ზემოქმედების შეფასების, მათ შორის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნისა და გარემოსდაცვის მოთხოვნებისა და პირობების (მათი არსებობის შემთხვევაში), მსგავსი სამუშაოებისათვის უკვე არსებული სტანდარტებისა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. მუშაობის პროცესში შემსრულებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს საქართველოს კანონის "საავტომობილო გზების შესახებ", საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის შესახებ ინსტრუქციის, საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური პირობების, სპეციფიკაციების, წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო სამშენებლო ნორმის, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების დაცვით.

3.2 წინამდებარე ხელშეკრულების 3.1. პუნქტში აღნიშნული წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

3.3. მშენებლობის პროცესში გამოყენებული ყველა მასალა-მოწყობილობა უნდა იყოს მაღალი ხარისხის, რაზედაც შემსყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს სტანდარტის დამადასტურებელი სერთიფიკატი. შემსყიდველს ტექნიკური ზედამხედველის მეშვეობით უფლება აქვს მშენებლობის ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს გამოყენებული მასალებისა და სამუშაოთა შესრულების ხარისხი, იმ შემთხვევაში, თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოთა წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება. ტექნიკური ზედამხედველის მიერ მასალის დაწუნების შემთხვევაში წუნდებული მასალის გამოყენება მშენებლობაში დაუშვებელია. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაო არ იქნება მოწონებული შემსყიდველის მიერ, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში გამოასწოროს, სამუშაოს შესრულების მომენტში დაშვებული ხარვეზები საკუთარი ხარჯებით.

3.4. სახელშეკრულებო ობიექტზე შემსრულებელმა უნდა აწარმოოს სამუშაოთა წარმოების ჟურნალი, სადაც ყოველდღიურად ჩაწერს დღიური შესრულებული სამუშაოების მოცულობას, შემსრულებელი პერსონალის მონაცემებს, გამოყენებული მექანიზმების და მოწყობილობების ჩამონათვალს, რომელიც მონაწილეობდა სამუშაოს შესრულებაში, ხარისხის დაცვის პროცედურებს და სხვა, ხოლო ტექნიკური ზედამხედველი აფიქსირებს თავის შენიშვნებსა და რეკომენდაციებს სამუშაოს წარმოების შესახებ, ჟურნალში ჩაიწერება განსაკუთრებული დავალებები, აღმოჩენილი დეფექტები და მათი აღმოფხვრის ვადები.

მიმწოდებელმა უნდა აწარმოოს ყველა საშემსრულებლო ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც განსაზღვრულია მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით ობიექტის მოვლა-შენახვის სპეციფიკის გათვალისწინებით.

3.5. ფარული სამუშაოების წარმოების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შეადგინოს ფარული სამუშაოების დამადასტურებელი წერილობითი აქტები. ფარული სამუშაოები წარმოებული უნდა იქნეს ტექნიკურ ზედამხედველთან ერთად. აქტი დამოწმებული უნდა იყოს, როგორც მიმწოდებლის, ასევე ტექნიკური ზედამხედველის მიერ.

მუხლი 4. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

4.1. სამუშაოს მიღება ხორციელდება ამ ხელშეკრულების 1.1. პუნქტში აღნიშნულ ადგილზე.

4.2. შესრულებული სამუშაოების მიღება განხორციელდება ერთ ეტაპად (45 კალენდარული დღე). მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა ხელშეკრულების დადებიდან და სამუშაოს დაწყების შესახებ წერილობით აცნობოს შემსყიდველს. სამუშაოს დაწყების თაობაზე მიმწოდებლის წერილობით შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია - სამუშაოების ჩამონათვალი, თუ რა კონკრეტული სამუშაოები მიმდინარეობს ობიექტზე.

4.3 შემსყიდველი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ სამუშაოების წარმოების პროცესში მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ შესრულებულ სამუშაოებს (ფორმა N2) ჩაუტაროს ექსპერტიზა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში" ან სხვა აკრედიტებულ პირთან. საექსპერტო მომსახურების ხარჯებს გაიღებს მიმწოდებელი ორგანიზაცია, თუ წარმოდგენილ ფორმა N2-სა და საექსპერტო დასკვნას შორის აღმოჩნდება ცდომილება. წინააღმდეგ შემთხვევაში საექსპერტო მომსახურების

ხარჯებს აანაზღაურებს შემსყიდველი.
4.4 ამ ხელშეკრულების მიხედვით შესრულებული სამუშაოების შემოწმებას და დადასტურებას ახორციელებს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ტექნიკური ზედამხედველი, რომელიც ადგილზე ამოწმებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ობიექტზე შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას და ხარისხს.
4.5. შესყიდვის ობიექტზე წარმოდგენილი სამუშაოს შესრულების აქტები- ფორმა #2 ან/და მიღება-ჩაბარების აქტები, დამოწმებული უნდა იყოს მიმწოდებლის მხრიდან სხვა პასუხისმგებელ პირებთან ერთად საინჟინრო განათლების მქონე სპეციალისტის მიერ. **სამუშაოს შესრულების აქტები - ფორმა #2 ტექნიკურ ზედამხედველს (სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ტექნიკური ზედამხედველი) მიმწოდებლის მიერ უნდა ჩაბარდეს სამუშაოს შესრულების ვადაში.**
4.6. ხელშეკრულების საგნის მიღება ხორციელდება სამუშაოების მიღება-ჩაბრების აქტის გაფორმებით. სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტი უნდა ეფუძნებოდეს ტექნიკური ზედამხედველის მიერ დამოწმებულ შესრულებული სამუშაოს აქტს-ფორმა #2-ს. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს ტექნიკური ზედამხედველი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან, უფლებამოსილი პირი.
4.7 ასაფალტობეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების შესრულების მიღება-ჩაბარების დროს მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს აკრედიტებული პირის ლაბორატორიული დასკვნა გრუნტის ტკეპნის კოეფიციენტის შესახებ.
4.8 სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ანაზღაურების სერთიფიკატს“ ხელს აწერენ „შემსყიდველის“ და „მიმწოდებელის“ მხრიდან უფლებამოსილი პირები.
4.9 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს ტექნიკური ზედამხედველი და შემსყიდველის მიერ უშუალოდ საამისოდ შექმნილი მიმღები კომისია.
4.10. ხელშეკრულების საგნის მიღება-ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოუდგინოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოების აქტი - ფორმა #2, ფარული სამუშაოების აქტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დადასტურებული ტექნიკური ზედახედველის მიერ, რომლითაც დასტურდება შესრულებული სამუშაოების ხარისხი, მოცულობა, ღირებულება და მათი შესაბამისობა საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან, ასევე მასალების სერთიფიკატი, ასფალტბეტონის ამონაჭერის გამოცდის ლაბორატორიული დასკვნა (სსიპ “ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო”-ს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დადებითი დასკვნა).
4.11 ტექნიკური ზედამხედველის, შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის და მიმწოდებლის მიერ მოწვეული სსიპ “ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო”-ს ან სხვა აკრედიტებული პირის თანდასწრებით, მიმწოდებელი ვალდებულია მოახდინოს ადგილზე კერნების ამოჭრა და ამოჭრილი კერნების დალუქვა. მიმწოდებელი ახდენს ყოველი ამოჭრილი კერნის ადგილის იდენტიფიკაციას (პიკეტაჟი, ფოტომასალა), ადგენს შესაბამის ოქმს, რომელსაც ხელმოწერებით ადასტურებენ დამსწრე პირები.
4.12 ამოჭრილი კერნების ადგილები მიმწოდებლის მიერ შევსებული უნდა იქნას ცივი ან ცხელი ა/ბ ნარევით.
4.13 ტექნიკური ზედამხედველისა და შემსყიდველის მიერ უშუალოდ საამისოდ შექმნილი მიმღები კომისიის მიერ დადასტურებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტითა და სსიპ “ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო”-ს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დადებითი დასკვნით დასტურდება:
1. შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების რაოდენობრივი სიზუსტე;
2.შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების ხარჯთაღრიცხვის მოცულობებთან შესაბამისობა;
3.შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი. ამისათვის მიმწოდებელმა სსიპ “ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო”-ში ან სხვა აკრედიტებულ პირთან შესრულებულ სამუშაოთა დადასტურების მიზნით მიმართვა უნდა წარადგინოს შემდეგი ფორმით:
“წარმოდგენილ სამუშაოთა ფორმა #2-ის მიხედვით გთხოვთ, დაგვიდგინოთ:
1. ფორმა #2-ით წარმოდგენილი შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების სიზუსტე.
2. ფორმა #2-ით წარმოდგენილი სამუშაოების მოცულობებისა და ღირებულებების შესაბამისობა ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ შესაბამის სამუშაოთა მოცულობებსა და ღირებულებასთან მიმართებაში. 3. შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი: (ამოკვეთილ (კერნი) ასფალტბეტონის ლაბორატორიულ კვლევაში ასახული უნდა იყოს:

ა) ბიტუმის რაოდენობა;
ბ) მინერალური ფხვნილის რაოდენობა;
გ) მინერალური მასალის გრანულომეტრია;
დ) ა/ბ საფარის დატკეპნის ხარისხი;
ე) ა/ბ ნარჩენი ფორიანობა.“
4.14 აკრედიტებული პირის მიერ გაცემულ დასკვნასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (ექსპერტიზის ხარჯების გაღება ევალება მიმწოდებელს).
4.15 შესრულებული სამუშაოების მიღება–ჩაბარების დროს გამოყენებული მასალები შესაბამისობაში უნდა იყოს პროექტით გათვალისწინებულ მასალებთან.
4.16 დასრულებულ სამუშაოთა მისაღებად საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს “აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ შესყიდული დასრულებული სამუშაოების მისაღებად წარმოსადგენი სავალდებულო დოკუმენტაციის და მისი წარმოდგენის პროცედურების განსაზღვრის შესახებ” დეპარტამენტის უფროსის 2020 წლის 06 თებერვლის #25 ბრძანებით მოთხოვნილი სავალდებულო დოკუმენტაცია:
4.16.1. ობიექტის სრული დასახელება, ობიექტის ზოგადი მიმოხილვითა და ძირითადი მახასიათებელი მაჩვენებლების მითითებით;
4.16.2. ფარული სამუშაოების აქტი;
4.16.3. გამოყენებული სამშენებლო მასალების ლაბორატორიული გამოცდის დასკვნა;
4.16.4. ასფალტბეტონის ნარევის, ასევე საფარიდან ამოჭრილი ნიმუშების ლაბორატორიული დასკვნა;
4.16.5. შესაბამისობის სერთიფიკატები (პასპორტები) ქარხნული წესით დამზადებულ კონსტრუქციებზე.
4.17 შემსყიდველი ვალდებულია, ოპერატიულად, სიტყვიერი ან/და წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს სამუშაოთა მიმდინარეობის პროცესში შემოწმების შედეგად გამოვლენილი წუნდებული სამუშაოს მოცულობის, დაწუნების მიზეზების და წუნდებული სამუშაოს გამოსწორების ვადების მითითებით შესახებ ინფორმაცია.
4.18 სამუშაოს მიღების დროს, შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში.

მუხლი 5. გარანტია

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ სამუშაო განხორციელდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად.
5.2. შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის საგარანტიო ვადა შეადგენს სამ წელს სამუშაოს მიღებიდან.
5.3. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მიმართვის შემდეგ არაუგვიანეს 30 დღისა საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ობიექტის ექსპლოატაციის დროს წარმოქმნილი ან/და აღმოჩენილი დეფექტების აღმოფხვრა.
5.4. თუ მიმწოდებელი საგარანტიო ვადის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით ვერ უზრუნველყოფს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრას, შემსყიდველი უფლებამოსილია, იმოქმედოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიით.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია:
6.1.1. სამუშაოები დაასრულოს 45 კალენდარული დღეში ხელშეკრულების დადებიდან.
6.1.2 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა ხელშეკრულების დადებიდან და სამუშაოს დაწყების შესახებ წერილობით აცნობოს შემსყიდველს. სამუშაოს დაწყების თაობაზე მიმწოდებლის წერილობით შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია **-** სამუშაოების ჩამონათვალი**,** თუ რა კონკრეტული სამუშაოები მიმდინარეობს ობიექტზე**.**
6.1.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები განახორციელოს - 1 (ერთი) ეტაპად.

6.1.4. წერილობით წარუდგინოს შემსყიდველს სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია 4.10 პუნქტის შესაბამისად.
6.1.5 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
6.1.6 სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.
6.1.7. სამუშაოები აწარმოოს ტექნიკური ზედამხედველის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ. მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარ წერილობით აცნობოს შემსყიდველს სამუშაოების დასრულების შესახებ.
6.1.8. აწარმოოს სამუშაოების ჟურნალი და ფარული სამუშაოების აქტები.
6.1.9. სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;
6.1.10. სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მიწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ საკუთარი შესაძლებლობებით და რესურსებით და მიმწოდებელი პასუხისმგებელი უნდა იყოს აღნიშნული მასალების, აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე. ხსენებული მასალების დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება მიმწოდებელს.
6.1.11. მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში მათ მიღებამდე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა შრომის უსაფრთხოების წესების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად;
6.1.12. მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონმდებლობის და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.
6.1.13. ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას ტექნიკური ზედამხედველი, შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო მოედნებზე. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
6.1.14. შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;
6.1.15. უზრუნველყოს შესაბამისი სამსახურიდან ნებართვის მიღება საავტომობილო გზაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა წარმოების გამო მოძრაობის დროებით შეწყვეტისათვის. შემსყდველისთვის ან/და მესამე პირებისათვის ზიანის წარმოშობის შემთხვევაში მას აკისრია პასუხისმგებლობა საკუთარი ხარჯით აანაზღაუროს მიყენებული ზარალი.
6.1.16. მიმწოდებელი პასუხისმგებელია სამუშაოს შესრულების პროცესში ისეთი სამშენებლო მასალების გამოყენებაზე, რომლის მოპოვებაზეც კანონმდებლობით განსაზღვრულია სათანადო ლიცენზიის/ნებართვის არსებობა.
6.1.17. სამუშაოების წარმოების პროცესში მიწისქვეშა კომუნიკაციების დაზიანების შემთხვევაში სრული პასუხისმგებლობა და დაზიანებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.
6.1.18. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა შესრულებისას იხელმძღვანელოს საქართველოს კანონით "საავტომობილო გზების შესახებ", საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის შესახებ ინსტრუქციის, საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური პირობების, სპეციფიკაციების, წინამდებარე ხელშეკრულების
პირობებისა და საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო სამშენებლო ნორმის, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების მიხედვით;
6.1.19. ისარგებლოს მარტო იმ ასფალტობეტონის ქარხნით, რომლის მიერ გამოშვებულ პროდუქციას ექნება ლაბორატორიული დასკვნა, ამ ქარხნის პროდუქციის გამოყენების ვარგისიანობაზე.
6.1.20 მიმწოდებელმა სამუშაოების დაწყებისთანავე თვალსაჩინო ადგილას უნდა განათავსოს მინიმუმ 2 ცალი საინფორმაციო დაფა (100სმ/80სმ), შემსყიდველის მიერ გადაცემული ესკიზის შესაბამისად.
6.1.21. წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.12 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია ტექნიკურ ზედამხედველს ან/და შემსყიდველს მიაწოდოს წერილობითი მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.
6.1.22. წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.3 პუნქტით გათვალისწინებული ტექნიკური ზედამხედველის მიერ მასალის დაწუნების გამო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შეჩერების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს ამის შესახებ.
6.2. მიმწოდებელს უფლება აქვს:
6.2.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული

სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება.
6.3. შემსყიდველი ვალდებულია:
6.3.1. შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
6.3.2. წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.
6.3.3 მიმწოდებელს წერილობით მიაწოდოს ინფორმაცია იმ პირების შესახებ რომლის მიერ განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა.
6.4. შემსყიდველს უფლება აქვს:
6.4.1. ტექნიკური ზედამხედველის მეშვეობით აწარმოოს ინსპექტირება სამუშაოს მიმდინარეობაზე, შეამოწმოს სამუშაოს შესაბამისობა საქართველოში მოქმედი მშენებლობის ნორმებისა და წესებში გათვალისწინებული ხარისხის კრიტერიუმების, ტექნიკური სპეციფიკაციების და მოქმედი სტანდარტების გათვალისწინებით თანახმად მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში იგი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოები.
6.4.2. სამუშაოების მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტებს ხელს აწერენ ტექნიკური ზედამხედველი და შემსყიდველის მიერ უშუალოდ საამისოდ შექმნილი მიმღები კომისია.
6.4.3. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველის, მიმწოდებლისა და ტექნიკური ზედამხედველის მონაწილეობით ფორმდება შესაბამისი აქტი, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი ხელშეკრულების შეუსრულებლობის მიზეზები,რის შემდგომაც შემსყიდველის შეხედულებისამებრ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტირების მექანიზმი. თუ მიმწოდებელის წარმომადგენელი უარს აცხადებს აღნიშნული აქტის შედგენაში მონაწილეობაზე, ხსენებული ფიქსირდება ამავე აქტში და იგი იწვევს იმავე სამართლებრივ შედეგებს, რასაც გამოიწვევდა მიმწოდებლის წარმომადგენლის მონაწილეობით შედგენილი აქტი. სამუშაოების უხარისხოდ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია თავისი სახსრებით უზრუნველყოს წუნის აღმოფხვრა დაუყონებლივ.
6.4.4. უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების დაფიქსირება ხდება ტექნიკური ზედამხედველის მიერ შედგენილ შესაბამისი აქტში, რის შემდეგაც მიმწოდებელს არ უნაზღაურდება დეფექტებით შესრულებული სამუშაოთა ღირებულება.
6.4.5 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან შესრულებულ სამუშაოთა წარმოდგენილი მოცულობები, შემსყიდველის მიერ გადამოწმების შემთხვევაში, არ შეესაბამება რეალობას, შემსყიდველს სათანადო აქტის შედგენის შემდეგ უფლება აქვს, არ აუნაზღაუროს მიმწოდებელს სამუშაოთა ღირებულება. აღნიშნულ შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, განახორციელოს ფორმა N2-ის კორექტირება დაზუსტებული მოცულობებით და წარუდგინოს შემსყიდველს შეტყობინებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.
6.4.6 შემსყიდველი ტექნიკური ზედამხედველის მეშვეობით ვალდებულია, მიმწოდებელთან ერთად აწარმოოს სამუშაოების შესრულებაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული
ვადების მიმდინარეობის კონტროლი.

მუხლი 7. პასუხისმგებლობა

7.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების ღირებულების 0,2% ასეთი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული ვალდებულების დაუყოვნებლივ გამოსწორება, გარდა ამ მუხლის 7.2 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.
7.2. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების დასრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით. მიმწოდებელი ვალდებულია ამ პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა უზრუნველყოს შემსყიდველის მოთხოვნიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
7.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, თუ მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის არ იქნა მიღწეული შეთანხმება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე 10 დღით ადრე და

მიმწოდებელი ამ დროისათვის ვერ უზრუნველყოფს სამუშაოების დასრულებას, შემსყიდველი უფლებამოსილია აამოქმედოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია სრული ოდენობით.
7.4 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის გამო მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა მიაღწევს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,6%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
7.5 მიმწოდებლის მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მას პირგასამტეხლოს სახით დაეკისრება ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით. მიმწოდებელი ვალდებულია ამ პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა უზრუნველყოს შემსყიდველის მოთხოვნიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
7.6 ამ მუხლის 7.1, 7.2 და 7.5 პუნქტების საფუძველზე მიმწოდებლისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაუკავოს თანხა დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობით და მოახდინოს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
7.7 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით მესამე პირისათვის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს.
7.8 მიმწოდებლის მიერ ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, შემსყიდველისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.
7.9 შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის გადაუხადოს მიმოწდებელს პირგასამტეხლოს სახით გადასახდელი თანხის 0.02% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
7.10 სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის (1 ეტაპი - 45 დღე) დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ამ მუხლის 7.2 პუნქტის შესაბამისად.
7.11 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებით. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;
8.2. ის მხარე, რომელიც ხელშეკრულების 8.1. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, ვალდებულია, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.
8.3. ხელშეკრულების 8.2. პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება

ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და (სათანადო არგუმენტაციის საფუძველზე) ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულება.

მუხლი 9. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

9.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აკრედიტებული საბანკო ან საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვეო კომპანიის/დაწესებულების მიერ გაცემული უპირობო საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2.5%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების შესრულების ვადას (30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.8 პუნქტით გათვალისწინებულ ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის ვადას).

9.2. გარანტია უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველი მოთხოვნისთანავე, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, მიიღოს შესაბამისი თანხა.

9.3. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია გამოიყენება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, აგრეთვე შემსყიდველის მიერ პირგასამტეხლოს გამოყენებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს აამოქმედოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სრული ოდენობით.

9.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია აამოქმედოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უპირობო საბანკო გარანტია სრული ოდენობით. ამ შემთხვევაში საბანკო გარანტიის ამოქმედება მიმწოდებელს არ ათავისუფლებს შემსყიდველისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისგან.

9.6. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ, ან/და მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორს-მაჟორული გარემოებები) ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

მუხლი 10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია გადაწყვეტილება მიიღოს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

10.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3 ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება ორმხრივი შეთანხმებით. მხარეებს უფლება აქვთ, გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.

10.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას/ვადებულებებს;

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია

მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;
ე) ამოიწურა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხა/ვადა და მიმწოდებელმა არ წარმოადგინა ახალი საბანკო გარანტია;
ვ) მიმწოდებლის მიმართ დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობამ მიაღწია ხელშეკრულების ღირებულების 0,6%-ს. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების 2.4. პუნქტით განსაზღვრული დაკავებული თანხიდან მიმწოდებელს არ დაუბრუნდება პირგასამტეხლოს სახით დაკისრებული თანხა და გადაირიცხება ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე;
ზ) ხელშეკრულების შესაბამისად ჩატარებული ექსპერტიზის შედეგად დადგინდა ცდომილება შემსყიდველისათვის წარდგენილ (გადამოწმებულ) შესრულებულ სამუშაოებზე (ფორმა N 2);
თ) **მიმწოდებლის მიერ სამუშაოების შესრულების დადგენილი ვადის 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;**
ი) შემსყიდველთან შეთანხმების გარეშე ქვეკონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს შეუწყვიტოს ხელშეკრულება;
კ) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება (გააყალბა სატენდერო დოკუმენტაცია, წარმოსადგენი ცნობა, საბანკო გარანტია და სხვა);
ლ) მიმწოდებლის მიზეზით ზედიზედ 10 კალენდარული დღის განმავლობაში არ მიმდინარეობს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები;
მ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში.

მუხლი 11. ქვეკონტრაქტორები

11.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ქვეკონტრაქტორის აყვანის შესახებ.
11.2 ქვეკონტრაქტორი არ უნდა რეგისტრირდებოდეს სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში (შავი სია). ქვეკონტრაქტორის ქონებაზე არ უნდა იყოს რეგისტრირებული ყადაღა/აკრძალვა ან/და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება, არ უნდა იყოს რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში.

11.3. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს ქვეკონტრაქტორს თავისი უფლებები და მოვალეობები, შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე. შემსყიდველის თანხმობის გარეშე ქვეკონტაქტორის აყვანის შემთხვევაში, ვრცელდება 10.4. პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები. მიმწოდებელი ვალდებულია, აცნობოს შემსყიდველს სამუშაოთა მოცულობის რა ნაწილი გადაეცემა ქვეკონტრაქტორს.
11.4. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა ქვეკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
11.5 მიმწოდებელი უფლებამოსილია ქვექონტრაქტორს გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულების არაუმეტეს 40%-ისა.
11.6 სამუშაოების ნაწილის ქვეკონტრაქტორზე გადაცემით მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებიდან.

მუხლი 12. ინსპექტირება

12.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შესრულებული სამუშაოს ინსპექტირება.
12.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის

(ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
12.3. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე. შესრულებული სამუშაოების ტექნიკური მონიტორინგი და კონტროლი ევალება დეპარტამენტის უფროსის ბრძანებით შექმნილ ჯგუფს. ხელშეკრულების პირობების საერთო კონტროლი ევალება დეპარტანტის უფროსის დარგის კურატორ მოადგილეს.
12.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
12.5. სამუშაოების მიმდინარეობაზე შემსყიდველი აწარმოებს კონტროლს "საავტომობილო გზების შესახებ" საქართველოს კანონის, საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის შესახებ ინსტრუქციის, საქართველოში მოქმედი ყველა სამშენებლო ნორმის, სტანდარტების და წესების, აგრეთვე ტექნიკური პირობების, ხელშეკრულების პირობების თანახმად, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოების მიმდინარეობა და განახორციელოს ამ ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები.

მუხლი 13. სხვა პირობები

13.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება, გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, გარდა ხელშეკრულების მე-11 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.
13.2 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
13.3. ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.
13.4. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია წინამდებარე ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.
13.5. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
13.6. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
13.7. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის, ფაქსის სახით ან ელექტრონული ფოსტით (სკანირებული PDF ფორმატში) ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
13.8. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.
13.9. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართო სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
13.10 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ინახება ორმხრივად ელექტრონულად ხელმოწერილი

სახით, რომელსაც გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.11 ხარჯთაღრიცხვა, საგარანტიო უზრუნველყოფა თან ერთვის და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

13.12. უქმე დღეების დამთხვევის შემთხვევაში სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოდგენა განხორციელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 127-ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 სამუშაოს შესრულების ვადაა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 18 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი. სამუშაოს მიღება- ჩაბარება განხორციელდება 1 (ერთი) ეტაპად. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა ხელშეკრულების დადებიდან და სამუშაოს დაწყების შესახებ წერილობით აცნობოს შემსყიდველს. სამუშაოს დაწყების თაობაზე მიმწოდებლის წერილობით შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია - სამუშაოების ჩამონათვალი, თუ რა კონკრეტული სამუშაოები მიმდინარეობს ობიექტზე.

14.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე, 2024 წლის 18 თებერვლის ჩათვლით.

მუხლი 15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

“შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ქ. ბათუმი ჯავახიშვილის №72ა	შპს „ბონდი 2009“
აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის	ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქუჩა **100**
სამინისტროს საქვეუწყებო-დაწესებულება	საიდ. კოდი: **245 626 470**
საავტომობილო გზების დეპარტამენტი	მიმღები ბანკი: სს" საქართველოს ბანკი"
საიდ. კოდი: **245 538 333**	ბანკის კოდი: **BAGAGE22**
	ანგარიშის #
დეპარტამენტის უფროსი:	**GE71BG0000000136676800**
	დირექტორი:
ზაზა შავაძე	მამუკა დოლიძე
Zaza Shavadze Digitally signed by Zaza Shavadze Date: 2020.11.03 14:51:55 +04'00'	BONDI-2009 LTD Digitally signed by BONDI-2009 LTD Date: 2020.11.03 15:09:26 +04'00'

უნისონი
სადაზღვევო კომპანია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-
საავტომობილო გზების დეპარტამენტი

საბანკო გარანტია N CPB 100399

(საფუძველი: 2020 წლის 28 ოქტომბრის საბანკო გარანტიის ხელშეკრულება N CPB 100399, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლი და საქართველოს კანონი" სახელმწიფო შესყიდვების შესახებ")

გარანტი – სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი" (ს/კ 404393152);

პრინციპალი – შპს ბონდი-2009 (ს/კ 245626470);

ბენეფიციარი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ს/კ 245538333);

საგარანტიო თანხა – 4 706 (ოთხი ათას შვიდას ექვსი) ლარი;

საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა – 2020 წლის 28 ოქტომბრიდან და მოქმედებს 2021 წლის 23 მარტამდე.

- **გარანტი** პრინციპალის თხოვნით, გასცემს წინამდებარე საბანკო გარანტიას პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის **2020 წლის 22 ოქტომბერს შედგენილი N 260-2 ოქმის** საფუძველზე (საგანი:ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ს/გზა "ახალშენის მეურნეობა-ესელიძეები" კმ0+000-კმ0+350 მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობა - NAT200015326) გასაფორმებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პრინციპალის მიერ ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით.
-გაფორმებული ხელშეკრულების დადგენილ ვალდებულებათა შეუსრულებლობისას გარანტი ბენეფიციარს უპირობოდ, გამოუთხოვადად გადაუხდის საგარანტიო თანხას პირველივე წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენისთანავე და აუნაზღაურებს მას ნებისმიერ თანხას ან თანხებს, საგარანტიო თანხის ფარგლებში.
- ბენეფიციარის მოთხოვნა საგარანტიო თანხაზე გარანტის მიერ მიიღება მხოლოდ წინამდებარე გარანტიის მოქმედების პერიოდში.
- ბენეფიციარის მოთხოვნის ჩაბარების თარიღად ჩაითვლება მოთხოვნის თანდართული დოკუმენტებით უშუალოდ გარანტისათვის ჩაბარების თარიღი.
- გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ წყდება:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლისას;
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე უარის თქმისა და მათი გარანტისათვის დაბრუნებისას;
- ბენეფიციარისათვის იმ თანხის გადახდით, რომელიც მითითებულია ბენეფიციარის მოთხოვნაში.

ნინო ბოკუჩავა

რისკების დირექტორი

28 ოქტომბერი 2020 წელი

უნისონი
სადაზღვევო კომპანია
404393152
სს საზოგადოებრივ კომპანია უნისონი
JSC INSURANCE COMPANY UNISON

საქართველო, ქ. თბილისი
0160, დ.გამრეკელის ქ. N19
ტელ.: +995 32 2 991 991
ფაქსი: +995 32 2 952 240
unison@unison.ge
www.unison.ge

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ს/გზა "ახალშების მეურნეობა-ესელიძეები" კმ 0+000 - კმ 0+350

გზის რეაბილიტაციის სამუშაოები (დანართი N1)

#	სამუშაოების დასახელება	განზ.	საპროექტო მოცულობა	ღირებულება	
				ერთ. ფასი	ჯამი
1	2	3	4	5	6
	მოსამზადებელი სამუშაოები				
	ტრასის აღდგენა და გამაგრება	კმ	0.37	100.00	37.00
	საკომუნიკაციო ჭების ხუფის მოყვანა სათანადო ნიშნულზე				
	არსებული ხუფების დემონტაჟი ადგილზე დასაწყობებით	ც	20.00	2.00	40.00
	დაზიანებული ჭის ტანის ბეტონის დაშლა სანგრევი ჩაქუჩებით	მ3	2.00	5.00	10.00
	დაშლილი ნამტვრევების დატვირთვა თვითმცლელებზე	ტ	4.80	2.00	9.60
	დაშლილი ნამტვრევების გატანა ნაყარში 2 კმ-მდე	ტ	4.80	2.00	9.60
	ჭების ტანის მოყვანა სათანადო ნიშნულამდე, მონოლითური ბეტონი B25, F200, ჭ6	მ3	4.00	200.00	800.00
	არსებული სახურავის მოწყობა რ/ბ ჩარჩო-ხუფით	ც	20.00	30.00	600.00
	ხელოვნური ნაგებობები				
	რკინაბეტონის ღარის მოწყობა				
	III კატეგორიის გრუნტის დამუშავება ბულდოზერით	მ3	24.28	1.00	24.28
	გაფხვიერებული გრუნტის II კატ. დამუშავება ექსკავატორით ავტოთვითმცლელებზე დატვირთვით	მ3	29.14	2.00	58.28
	გრუნტის გადაზიდვა ნაყარში 2 კმ-მდე თვითმცლელებით	ტ	50.99	2.00	101.98
	სამუშაოები ნაყარში	1000 მ3	0.03	1,000.00	30.00
	III კატეგორიის გრუნტის დამუშავება ხელით, თვითმცლელებზე დატვირთვით	მ3	2.50	5.00	12.50
	გრუნტის გადაზიდვა ნაყარში 2 კმ-მდე თვითმცლელებით	ტ	4.38	2.00	8.76
	ქვიშა-ხრეშოვანი საგების მოწყობა	მ3	5.40	16.00	86.40
	მონოლითური ბეტონის საგების მოწყობა B15 სისქით 10 სმ	მ³	5.40	160.00	864.00
	ანაკრები მონოლითური რკინა/ბეტონის ღარის მოწყობა	მ³	10.29	300.00	3,087.00
	საყრდენი კედლის მოწყობა				
	III კატეგორიის გრუნტის დამუშავება და დატვირთვა ექსკავატორით თვითმცლელებზე	მ3	54.00	2.00	108.00
	III კატეგორიის გრუნტის დამუშავება ხელით, თვითმცლელებზე დატვირთვით	მ3	6.00	5.00	30.00
	გრუნტის გადაზიდვა ნაყარში 2 კმ-მდე თვითმცლელებით	ტ	105.00	2.00	210.00
	სამუშაოები ნაყარში	1000 მ3	0.06	1,000.00	60.00
	ქვიშა-ხრეშოვანი საგების მოწყობა	მ3	3.90	16.00	62.40
	საყრდენი კედლის საძირკვლის მოწყობა მონოლითური ბეტონით	მ3	12.75	180.00	2,295.00
	საყრდენი კედლის ტანის მოწყობა მონოლითური ბეტონით	მ3	8.25	180.00	1,485.00
	სადეფორმაციო ნაკერის მოწყობა ბიტუმში გაჟღენთილი ფიცრებით	მ	1.90	5.00	9.50
	წასაცხები ჰიდროიზოლაცია ცხელი ბიტუმით (2 ფენა)	მ2	43.50	5.00	217.50
	კედლის უკანა სივრცის შესავსება ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით	მ3	39.45	16.00	631.20

1	2	3	4	5	6
	საგზაო სამოსი				
	ორმოული შეკეთება საფარის ზედა ფენაზე				
	ორმოს კონტურზე ასფალტობეტონის საფარის ჩაჭრა მოტოხერხით საშუალო სისქით 4 სმ.	მ	1,122.00	1.00	1,122.00
	ორმოების ნაყიბურების მომტვრევა სანგრევი ჩაქუჩებით	მ3	2.81	10.00	28.10
	ნამტვრევების დატვირთვა ხელით	მ3	2.81	5.00	14.05
	ნამტვრევების ტრანსპორტირება ნაყარში	მ3	2.81	2.00	5.62
	ტრანსპორტირება საშუალოდ 2 კმ-მდე	ტ	6.12	2.00	12.24
	საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა ქვიშა-ღორღის ნარევით	მ3	15.30	16.00	244.80
	თხევადი ბიტუმის მოსხმა 0.3 კგ/მ2	მ2	510.00	0.30	153.00
	ორმოს კონტურის დამუშავება თხევადი ბიტუმით	მ	1,122.00	0.30	336.60
	ორმოების შევსება წვრილმარცვლოვანი ა/ბ ნარევით სისქით 5 სმ	ტ	62.02	150.00	9,303.00
	ჯდენების უბნების შეკეთება				
	ორმოს კონტურზე ასფალტობეტონის საფარის ჩაჭრა მოტოხერხით საშუალო სისქით 5 სმ.	მ	45.00	1.00	45.00
	ორმოების ნაყიბურების მომტვრევა სანგრევი ჩაქუჩებით	მ3	0.11	10.00	1.10
	ნამტვრევების დატვირთვა ხელით	მ3	0.11	5.00	0.55
	ნამტვრევების ტრანსპორტირება ნაყარში	მ3	0.11	2.00	0.22
	ტრანსპორტირება საშუალოდ 2 კმ-მდე	ტ	0.24	2.00	0.48
	III კატეგორიის გრუნტის დამუშავება და დატვირთვა ექსკავატორით თვითმცლელებზე	მ3	75.00	2.00	150.00
	გრუნტის გადაზიდვა ნაყარში 2 კმ-მდე თვითმცლელებით	ტ	131.25	2.00	262.50
	სამუშაოები ნაყარში	1000 მ3	0.08	1,000.00	80.00
	ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით საფუძვლის ქვედა ფენის მოწყობა	მ3	45.00	16.00	720.00
	საფუძველი -ფრაქციული ღორღის (ფრ. 0-40 მმ) სისქით 15 სმ	მ2	150.00	3.50	525.00
	თხევადი ბიტუმის მოსხმა 0.7 ლ/მ2	ტ	0.11	1,000.00	110.00
	საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი, მკვრივი, ღორღოვანი ასფალტობეტონის ცხელი ნარევით ტიპი ნ, მარკა II, სისქით 5 სმ	მ2	150.00	18.00	2,700.00
	საცვეთი ფენის მოწყობა				
	თხევადი ბიტუმის მოსხმა 0.3 კგ/მ2	მ2	2,564.00	0.30	769.20
	შემასწორებელი ფენის მოწყობა საფარის მტელ ფართზე	ტ	123.07	150.00	18,460.50
	თხევადი ბიტუმის მოსხმა 0.3 კგ/მ2	მ2	2,564.00	0.30	769.20
	საცვეთი ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი, მკვრივი, ღორღოვანი ასფალტობეტონის ცხელი ნარევით ტიპი ნ, მარკა II, სისქით 5 სმ	მ2	2,564.00	18.00	46,152.00
	ტროტუარის მოწყობა				
	ბეტონის ბორდიურების მოწყობა ბეტონის საფუძველზე (30*15 სმ)	მ	233.00	22.00	5,126.00
	ბეტონის ბორდიურების მოწყობა ბეტონის საფუძველზე (20*10 სმ)	მ	233.00	18.00	4,194.00
	საფარი ტროტუარზე				
	პროფილის შესწორება ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით	მ3	29.10	16.00	465.60
	საფუძველი -ფრაქციული ღორღის (ფრ. 0-40 მმ) სისქით 12 სმ	მ2	291.00	3.50	1,018.50
	თხევადი ბიტუმის მოსხმა 0.7 ლ/მ2	ტ	0.20	100.00	20.00
	საფარის მოწყობა ტროტუარზე ქვიშოვანი ა.ბ სისქით 3 სმ	მ2	291.00	15.00	4,365.00
	გზის კუთვნილებები				
	მიერთებების მოწყობა				
	მიერთების მიწის ვაკისი				
	არსებული გატალახიანებული საფუძვლის დამუშავება III კატ. გრუნტში ბულდოზერით, 20 მ-ზე გადაადგილებით	მ3	171.00	1.00	171.00

1	2	3	4	5	6
	გაფხვიერებული გრუნტის II კატ. დამუშავება ექსკავატორით ავტოთვითმცლელებზე დატვირთვით	მ3	205.20	2.00	410.40
	გრუნტის გადაზიდვა ნაყარში 2 კმ-მდე თვითმცლელებით	ტ	359.10	2.00	718.20
	სამუშაოები ნაყარში	1000 მ3	0.21	1,000.00	210.00
	III კატეგორიის გრუნტის დამუშავება ხელით, თვითმცლელებზე დატვირთვით	მ3	19.00	5.00	95.00
	გრუნტის გადაზიდვა ნაყარში 2 კმ-მდე თვითმცლელებით	ტ	33.25	2.00	66.50
	სამუშაოები ნაყარში	1000 მ3	0.02	1,000.00	20.00
	ყრილის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით	მ3	3.00	16.00	48.00
	ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით საფუძვლის ქვედა ფენის მოწყობა	მ3	77.30	16.00	1,236.80
	საფუძველი -ფრაქციული ღორღის (ფრ. 0-40 მმ) ნარევი სისქით 12 სმ	მ2	515.15	3.50	1,803.03
	თხევადი ბიტუმის მოსხმა 0.7 ლ/მ2	ტ	0.36	1,000.00	360.00
	საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ფოროვანი ღორღოვანი ასფალტობეტონის ცხელი ნარევით, მარკა II, სისქით 6 სმ.	მ2	515.15	20.00	10,303.00
	თხევადი ბიტუმის მოსხმა 0.3 ლ/მ2	ტ	0.15	1,000.00	150.00
	საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ღორღოვანი ასფალტობეტონის ცხელი ნარევით, მარკა II, სისქით 4 სმ.	მ2	515.15	17.00	8,757.55
	ხელოვნური უსწორმასწორობის მოწყობა				
	საგზაო ნიშნების მოწყობა ლითონის დგარზე, სიგრძით 3,5 მ, მიწის სამუშაოების, დაბეტონებისა B-25, F-200, ჭ-6 და დგარების შეღებვის გათვალისწინებით	ც	4.00	100.00	400.00
	არსებულ დგარებზე ფარების დაკიდება	ც	4.00	20.00	80.00
	ფარებისა და დგარების ღირებულება	ც	4.00	165.70	662.80
	ხელოვნური უსწორმასწორობის ,,მწოლიარე პოლიციელი"-ს მოწყობა	მ2	14.00	125.00	1,750.00
	ჯამი				*135,284.54*
	ზედნადები ხარჯები 8 %				10822.76
	ჯამი				146107.30
	გეგმიური დაგროვება 6 %				8766.44
	ჯამი:				154873.74
	გაუთვალისწინებელი სამუშაოები 3%				4646.21
	ჯამი:				159519.95
	დღგ 18%				28713.59
	ჯამი ხარჯთაღრიცხვის				188233.54

BONDI-2009 LTD

Digitally signed by BONDI-2009 LTD
Date: 2020.10.19 13:06:09 +04'00'

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი **03 ნოემბერი, 2020 წელი.**

ვადასტურებ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ს/გზა "ახალშენის მეურნეობა-ესელიძეები" კმ0+000-კმ0+350 მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობის (NAT200015326, CPV-45200000) სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებით 2020 წლის 03 ნოემბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის №234 ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელ შპს „ბონდი-2009“-სთან (ს/ნ-245626470) ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

დეპარტამენტის უფროსი: Zaza Shavadze Digitally signed by Zaza Shavadze Date: 2020.11.03 14:51:22 +04'00' ზაზა შავაძე